

"გვრჩება შთაბეჭდილება, რომ ზოგიერთ პოლიტიკურ ძადას უნდოდა, დაწესებუდიყო სანქციები"



საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა საქართველოს მიერ გაფორმებულ თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებებზე გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ მთავრობა არ კარნახობს ბიზნესს, სად რა გაიტანოს.

“თუკი ბიზნესი ნაწილობრივ ირჩევს ტრადიციულ ბაზრებს და მათ შორის რუსულ ბაზარს, ეს არის მათი არჩევანი, რომელსაც პატივი უნდა ვცეთ. კი, რუსული ბაზარი ჩვენს ექსპორტში არ არის წარმოდგენილი როგორც დომინანტი, ეს არის შარშანდელი მონაცემები – სურ 13%, მაგრამ ამ 13%-ის უკან დგას ათობით მეღვინე, დგანან ჩვენი ფერმერები, ასევე სხვა მწარმოებლები. ჩვენ უნდა ვცეთ პატივი მათ არჩევანს და მათგან უნდა ვიზრუნოთ“, – განაცხადა ნათია თურნავამ.

მინისტრმა ტურიზმის სფეროსა და რუსი ტურისტების წიღებაც ისაუბრა.

„25% არის რუსი ტურისტის წილი ჩვენს ტურიზმში და ამის უკანაც დგანან ჩვენი ოჯახები, ჩვენი საოჯახო სასტუმროები, ტაქსის მძღოლები, რესტორნის მესვეურები, ვინც ეღობებოდა ამ მიღიონ ტურისტს და არავის აქვს უფლება, არ სცეს პატივი ამ ბიზნესის არჩევანს, ჩაერიოს ამაში და თანაც შეურაცხყოფა მიაყენოს.

გვრჩება შთაბეჭდილება, რომ ზოგიერთ უპასუხისმგებელ პოლიტიკოსსა და პოლიტიკურ ძადას სწორედაც უნდოდა, რომ წამოსურდო საბეჭდები, წამოსურდო ისეთი გადამწყვეტილებები, რომლებიც ძალიან დიდი პრობლემებში ჩააგდებდა ჩვენს რიგით მოსახლეობას და პირველ რიგში, რიგით მოქალაქეებს შეუქმნიდა პრობლემებს, 4 მილიარდ ლარზე მეტი ზარალი, რასაც ათობით ადამიანი განიცდიდა“, – აღნიშნა მინისტრმა.

მისი თქმით, მაგარიტად ბათუმში კარგად ჩანს მსგავსი მავნებლური მიდგომის შედეგი.

„ახლა ჩვენ ბათუმში ვართ და ვხედავთ დაცარიელებულ პლაჟებს, რაც არის უკვე შედეგი ამ მავნებლური საქციელის, ამ მავნებლური მიდგომის. ახლა, ამ ბოლო დროს ვხედავთ საერთოდ ისტერიასა და მღვარგადასურ შეურაცხყოფას იგივე თუნდაც ქართული ღვინისა და მეღვინეობის მიმართ, რაც არის ჩვენი კურტურისა და იდენტობის ნაწილი.

რა თქმა უნდა, აღშფოთებული ვართ ამით და დარწმუნებული ვართ, რომ უბრალო ადამიანი ხედავს ამას ყველაფერს, ხედავს ვინ არის პასუხისმგებელი მთავრობა და როგორ ვიქცევით ჩვენ ამ შემთხვევაში, ასე ვთქვათ, მაქსიმალურ დაბადანსებულ მიდგომას ვიჩენთ, რათა არ დავაზარალოთ მეტად ჩვენი მოსახლეობის ინტერესები და კიდევ სად დგანან უპასუხისმგებელ პოლიტიკოსები, რომლებიც არანაირ პასუხს არ აგებენ საკუთარ გამონათქვამებსა და მათ შედეგებზე, რაც უფრო მეტად პრობლემას შექმნიან მით უფრო უკეთესია მათი პოლიტიკური დღის წესრიგისთვის“, – განაცხადა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა.